

ქართული გალობა
ანთოლოგია

Georgian Chant
Anthology

X





საქართველოს ფოლკლორის
სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE
OF GEORGIA



საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
The Folklore State Centre of Georgia
ფონდი ქართული გალობა
Georgian Chanting Foundation

ქართული გალობა ანთოლოგია ტომი X

აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიცია

ღამისთევის ლოცვის საგალობლები

(I ნაწილი)

Georgian Chant Anthology Volume 10

The Chant Tradition of Eastern Georgia

Chants for Vigil

(Part I)

თბილისი
Tbilisi
2019





ანთოლოგიის X—XI ტომებში აღმოსავლეთ საქართველოს, „კარბელაანთ“ სამგალობლო ტრადიციის ღამისთევის ლოცვის (მწუხრის, შუალამის, ცისკრისა და პირველი ჟამების) საგალობლებია წარმოდგენილი. წინამდებარე, X ტომში დაბეჭდილია სტეფანე (ვასილ) კარბელაშვილის მიერ 1897 წელს გამოცემული „მწუხრი“ და მის მიერვე 1898 წელს გამოცემული „ცისკრის“ ნაწილი. ეს კრებულები ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაა ქცეული და I გამოცემის შემდეგ სრული სახით აღარ გამოქვეყნებულა. ამავე ტომში პირველად იბეჭდება ღამისთევის ლოცვის რამდენიმე საგალობელიც სტ. კარბელაშვილის სანოტო ხელნაწერთა არქივიდან (დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში).

Chants for the vigil service (Vespers, Midnight Office, Matins, and First Hour) of the Eastern Georgian “Karbelaant” chant tradition are presented in Volumes 10-11. “Vespers” published in 1897 and a part of “Matins” published in 1898 by Stephane (Vasil) Karbelashvili are printed in Volume 10. These collections had become a bibliographic rarity and had no longer been published in entirety after the first publication. A number of chants from S. Karbelashvili’s notated manuscript archive (kept at the National Center of Manuscripts) for the vigil service are being printed for the first time in this same volume.

იდის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელი: სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Author and project leader: Svimon (Jiki) Jangulashvili

X ტომის შემდგენელი და მუსიკალური რედაქტორი: სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Compiler and musical editor of Volume 10: Svimon (Jiki) Jangulashvili

შესავალი წერილისა და კომენტარების ავტორი: სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Author of introduction and comments: Svimon (Jiki) Jangulashvili

რედაქტორები: რუსუდან წურწუმია, თამარ ჩხეიძე
Editors: Rusudan Tsurtssumia, Tamar Chkheidze

მთარგმნელი: ერიკ ჰალვორსონი,
Translator: Eirik Halworsen

გამოცემაზე მუშაობდნენ: რუსუდან თაბაგარი, ნუცა ნიკოლეიშვილი
The publication was prepared by: Rusudan Tabagari, Nutsa Nikoleishvili

კონსულტანტი: ქეთევან გვაზავა
Consultant: Ketevan Gvazava

კომპიუტერული უზრუნველყოფა: სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი, ლევან ვეშაპიძე, გიორგი აბრამიშვილი
Computer services: Svimon (Jiki) Jangulashvili, Levan Veshapidze, Giorgi Abramishvili

დიზაინერი: ნიკოლოზ გოგაშვილი
Designer: Nikoloz Gogashvili

პროექტის კოორდინატორები: ნინო რაზმაძე, რუსუდან თაბაგარი
Project coordinators: Nino Razmadze, Rusudan Tabagari,

©საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
Folklore State Centre of Georgia

©ფონდი ქართული გალობა
Georgian Chanting Foundation

ISMN 979-0-802100-95-4 (ყველა ტომის)

ISMN 979-0-802101-36-4 (მეთე ტომის)

შესავალი

ანთოლოგიის X-XI ტომებში შეტანილია აღმოსავლეთ საქართველოს, „კარბელაანთ“ სამგალობლო ტრადიციის ღამისთევის ლოცვის (მწუხრის, შუალამის, ცისკრისა და პირველი ჟამების) საგალობლები.

განზრახული გვექონდა, ანთოლოგიის X—XI ტომებში შეტანილი აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციის ღამისთევის ლოცვის საგალობლები ერთ ტომად გამოგვეცა, მაგრამ საგალობელთა დიდი რაოდენობის გამო, მათი ორ ტომად გაყოფა მოგვიხდა.

X ტომში დაბეჭდილია სტეფანე (ვასილ) კარბელაშვილის მიერ გამოცემული „მწუხრი“ (კარბელაშვილი, 1897)¹ და მის მიერვე გამოცემული „ცისკრის“ (კარბელაშვილი, 1898)² ნაწილი („აქედით სახელსა უფლისასა“-ს ჩათვლით), XI-ში — „ცისკრის“ დარჩენილი ნაწილი (სადიდებლებიდან ბოლომდე). ამასთან, უკვე გამოცემულ საგალობლებს X—XI ტომებში დავამატეთ ღამისთევის ლოცვის ციკლის რამდენიმე ჰიმნი სტეფანე და პოლიევქტოს კარბელაშვილების არქივებიდან და დავით მოლოდინაშვილისა და მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ხელნაწერებიდან. ამის მიზეზი იყო ის, რომ ღამისთევის ლოცვისათვის აუცილებელი ეს საგალობლები „მწუხრსა“ და „ცისკარში“ შეტანილი არაა.

„მწუხრი“ და „ცისკარი“ გამოიცა 1897 და 1898 წლებში. მათი შემდგენელი, რედაქტორი, გამომცემელი და წინასიტყვაობების ავტორია წმიდა აღმსარებელი, ეპისკოპოსი სტეფანე (ვასილ) კარბელაშვილი. ასევე წმინდანად აღიარებულ ფილიმონ ქორიძის გამოცემებთან ერთად, ეს ორი კრებული ქართული საგალობლების ერთ-ერთი პირველი პუბლიკაცია იყო. როგორც ცნობილია, გალობა-სიმღერის გადარჩენასა და დაფიქსირება-პოპულარიზაციას, იმ დროის ქართული საზოგადოება აღიქვამდა, როგორც იდენტობის შენარჩუნებისა და ევროპულ კულტურასთან ქართული კულტურის ჰარმონიული ურთიერთობის განსაკუთრებულ გზას. ამიტომაც, იგი დიდი ყურადღებით შეხვდა ქორიძისეული „წირვის“ (ქორიძე, 1895) შემდეგ „კარბელაანთ“ სამგალობლო ტრადიციის „მწუხრისა“ და „ცისკრის“ გამოცემას. საუკუნეზე მეტი ხნის გასვლის მიუხედავად, ეს კრებულები (ისევე, როგორც, ქართული გალობის სხვა გამოცემული, ხელნაწერი თუ აუდიონიყაროები) არ კარგავენ აქტუალობასა და ღირებულებას ეროვნული და საერთაშორისო მუსიკალური და

¹ ქართლ-კახური გალობა „კარბელაანთ კილოთი“: „მწუხრი“ // ნოტებზედ გადაღებული და საკუთრებით დაბეჭდილი მღ. ვასილ გრიგ. ძის კარბელოვის მიერ // I ნაწილი // თბილისი : სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, 1897.

² ქართლ-კახური გალობა „კარბელაანთ კილოთი“: „ცისკარი“ // ნოტებზედ გადაღებული და საკუთრებით დაბეჭდილი მღ. ვასილ გრიგ. ძის კარბელოვის მიერ // II ნაწილი // ტფილისი: სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

სამეცნიერო საზოგადოებისათვის. აღსანიშნავია, რომ ანთოლოგიის X—XI ტომები ამ ორი კრებულის სრული სახით ხელახალი გამოცემის პირველი შემთხვევაა (ანჩისხატის გუნდის გამოცემებში ამ კრებულთა რეპერტუარის მცირე ნაწილი იყო დაბეჭდილი).

ორივე კრებულში, საკუთრივ მწუხრისა და ცისკრის ჟამების საგალობლებთან ერთად, შეტანილია შუალამისა და I ჟამების საგალობლები, აგრეთვე მრავალი სადღესასწაულო ჰიმნიც, რომლებიც სხვა ჟამებში, წირვასა და სხვა განგებებშიც იგალობება. „ცისკარში“ სტ. კარბელაშვილმა უშუალოდ წირვის და მიცვალებულთა მსახურების რამდენიმე საგალობელიც დაბეჭდა.

„მწუხრსა“ და „ცისკარში“ შეტანილ საგალობელთა შორის გვხვდება შედარებით მარტივი (I-II ხმების ტერციული და I-III ხმების კვინტური და ოქტავური პარალელიზმით აგებული) ფაქტურის მქონე საგალობლებიც, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ კრებულთა რეპერტუარის დიდ ნაწილს წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციის „გამშვენებული“ სტილის ნიმუშები — მელოდიური განვითარებულობით დანინაურებული II ხმითა და პოლიფონიური ფაქტურით, ჰარმონიული სიმდიდრითა და კილოური გადახრა-მოდულაციებით გამორჩეული საგალობლები. რა თქმა უნდა, „კარბელაანთ“ ტრადიციის გალობის „გამშვენებული“ ფაქტურა, პოლიფონიურობის შედარებით ნაკლები ხარისხით, სხვაობს დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციის, „გამშვენებული“ სტილის განსხვავებულ-მელოდიური ფაქტურის მქონე ნიმუშებისაგან, რომლებშიც პოლიფონიურობის „გრადუსი“ მეტად მაღალია.

ორივე კრებულს წინ უძღვის სტ. (ვ.) კარბელაშვილის მიერ დაწერილი შესავალი. ისინი ამ შესავლის შემდეგ გვაქვს მოცემული წინამდებარე ტომში.

„მწუხრის“ წინასიტყვაობაში გამოთქმულია კარბელაშვილთა ოჯახში დაცული შეხედულებები გალობის ესთეტიკის, ისტორიისა და წარმოშობის შესახებ. ამ უკანასკნელის თაობაზე, კერძოდ, სტ. კარბელაშვილი თავისი ძმის — პოლიევქტოსის მსგავს მოსაზრებას ავითარებს — რომ ქართული გალობა წარმოიშვა ქრისტიანობამდელ ქართულ საკულტო და ხალხურ მუსიკაზე დაყრდნობით და რომ ქართულ ეკლესიაში, დასაწყისიდანვე, ლიტურგიის გაქართულებისთანავე იყო ორიგინალური, ეროვნული მრავალხმიანი გალობა.

მართლაც, ჩვენამდე მოღწეული ყველა ნარატიული წყაროს ანალიზის შედეგად, თანამედროვე ქართული მუსიკოლოგიაც ასკვნის, რომ როგორც ყველგან, საქართველოშიც ლიტურგიკული მუსიკა დაეყრდნო ადგილობრივ მუსიკალურ აზროვნებას — იქნებოდა ეს ქრისტიანობის საწყისი ეტაპის (I—IV ს.) „ქარიზმატული ღვთისმსახურების“ გარემოებებით ეკლესიაში შესული ეროვნული მუსიკალური ენა-აზროვნება და ფორმები, თუ IV საუკუნეში, საქართველოს გაქრისტიანების შემდეგ, ქართულ ლიტურგიაში დამკვიდრებული ქართული ინტონაციები. კლასიკური სახე, ქართულმა გალობამ, მკვლევართა აზრით (რ. წურწუმია, 1991) XI საუკუნეში, ხოლო

ჩვენი აზრით, ქართული ქრისტიანული კულტურის განვითარების „ეროვნული ეტაპზე“, „ქართული ქრისტიანობის“ ფენომენის შემუშავებისას მიიღო (X საუკუნემდე)³, როდესაც, ხდებოდა კულტურის ყველა სეგმენტის, ხელოვნების ყველა დარგის მძლავრი ნაციონალიზაცია — ეროვნული მსოფლმხედველობისა და ფსიქოლოგიის ძიება-თვითგამოხატვასთან და ესთეტიკური აზროვნების განვითარების ბუნებრივ ლოგიკასთან ერთად, ბიზანტიური, სპარსული, სომხური თუ არაბული ექსპანსიის ფონზე ეროვნული სულისა და კულტურის დამკვიდრებისა და დაცვა-გაძლიერების მიზნით. ამასთან, ცხადია, სავსებით შესაძლებელია, დაიძებნოს საერთო-ქრისტიანული მელოდიური არქეტიპებიც ქართულ გალობაში, რომლებიც შემოვიდნენ რომის (შემდგომ, ბიზანტიის) იმპერიიდან საქართველოში და განიცადეს მელოდიურ-ფაქტურული ტრანსფორმაცია-ნაციონალიზაცია (ამ საკითხის კვლევაში ჩვენს მუსიკოლოგიაში გარკვეული ნაბიჯები გადადგმულია). მაგრამ, უცხადესია, რომ თავად მუსიკალური აზროვნების ის ტიპი, რაც ჩვენს გალობას ახასიათებს, ყოველგვარი უცხო გავლენის გარეშეა ჩამოყალიბებული და ორიგინალური, ეროვნული ესთეტიკური კატეგორიაა.

„მწუხრის“ დასაწყისშივე, შემდგენელ-რედაქტორს მოცემული აქვს მუსიკის ელემენტარული თეორიისა და სოლფეჯიოს შესწავლის საწყისი საფეხურებისათვის საჭირო მითითებანი და, ასევე, თეორიული დაკვირვებანი ქართული გალობის საშემსრულებლო, ენობრივი და კომპოზიციური თავისებურებების შესახებ.

„ცისკრის“ რუსულენოვან შესავალში სტ. კარბელაშვილი გადმოსცემს საგალობელთა ჩანერის ისტორიის ერთ-ერთ ეპიზოდსა და რუსეთის ეკლესიის სინოდალური გუნდის ხელმძღვანელის — სტეფანე სმოლენსკის აღტაცებულ შეფასებას ქართული გალობის შესახებ.

„ცისკრის“ სატიტულო ფურცლებთან ჩართულია დიდი ზომის ფურცელი, რომელზეც წარმოდგენილია ბიზანტიური და ქართული ნევმები და სამგალობლო ნიშნები, ფრაგმენტები ძველი ქართული ნევმირებული ხელნაწერებიდან და „ჭრელების“ ნოტირებული ნიმუშები (ამ ფურცლის ასლი წინამდებარე ტომშიც გვაქვს მოცემული).

* * *

³ ქართული კულტურის განვითარების „ეროვნული“ ეტაპი დასრულდა X საუკუნეში. ამ ეტაპის დასაწყისად ქართველი მეცნიერები VII საუკუნეს მიიჩნევენ. ჩვენ კი, ვფიქრობთ, რომ „ქართული ქრისტიანობის“ კულტურული ფენომენის შემუშავების და ქართველთა ეროვნულ-ქრისტიანული ინდივიდუალიზაციის და ბიზანტიურ სამყაროსთან თვითგათანაბრების დასაწყისი უფრო ადრე — V საუკუნეში იყო, რის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს არგუმენტადაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვების ფაქტი მიგვაჩნია. ამავე ტენდენციაზე აღნიშნავს ნაშრომში „ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან“ ლ. წურწუშიაძე: „ადრეულ შუა საუკუნეებში, IV საუკუნიდან ჩამოყალიბებას იწყებს ქართული ქრისტიანული ხელოვნების ეროვნული, თვითმყოფადი ხასიათი [...] ეროვნული ხასიათის თავისებურებების ძიება მცხეთის ჯვრისა და წრომის დიდებული ტაძრის მშენებლობით დასრულდა“ (წურწუშია ლ., 2005:196).



საგალობელთა ვრცელი ფორმებისა და მეტად დიდი რაოდენობის გამო, ლამისთევის ლოცვისა და დღესასწაულთა ქართლ-კახური ჰიმნების გამოცემისას, ჩვენ ავირჩიეთ ანთოლოგიის II—IV ტომებისაგან განსხვავებული პრინციპი: მათში თავმოყრილია იოანე ოქროპირის, ბასილი დიდისა და პირველშენიერულის წირვის ყველა ქართლ-კახური საგალობელი, საქართველოში დაცული, როგორც გამოცემული, ისე, ხელნაწერი წყაროებიდან.⁴ X-XI ტომებში კი, ხელნაწერებიდან მხოლოდ ისეთი საგალობლები შევიტანეთ, რომლებიც კარბელაშვილთა გამოცემულ „მწუხრსა“ და „ცისკარში“ არაა, მაგრამ, ამ განგებათა აუცილებელ ნაწილებს წარმოადგენენ და მათი შემოტანა ამ ტომებში საჭირო იყო, როგორც სამეცნიერო-კვლევითი ინტერესებიდან, ისე, ანთოლოგიის პრაქტიკულ-საღვთისმსახურო დანიშნულებიდან გამომდინარე. რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციის ხელნაწერ წყაროებში მოცემულ ლამისთევის ლოცვის სხვა საგალობლებს, მათ ანთოლოგიის საგანგებო ტომებში დავბეჭდავთ.

ქვემოთ იხილეთ X-XI ტომებში ხელნაწერებიდან შეტანილი საგალობლების ჩამონათვალი:

X ტომში (5 საგალობელი):

„მდინარეთა ზედა ბაბილოვნისათა“ (№213—232) — სტ. (ვ.) კარბელაშვილის სანოტო ხელნაწერთა არქივიდან;⁵

„ნეტარ არიან უბინონი“ (№233—235) — სტ. (ვ.) კარბელაშვილის სანოტო ხელნაწერთა არქივიდან;

XI ტომში (18 საგალობელი):

„დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო“ (№48) — პ. კარბელაშვილის არქივიდან (ცენტრ. არქივი, ფ. 1461, საქმე №203);⁶

„დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო“ (№49) — მ. იპოლიტოვ-ივანოვის ხელნაწერიდან (ფოლკ. ცენტრი, ხელნ. №2112);⁷

⁴ 2018-2019 წლებში, ახალგაზრდა მუსიკოლოგმა გოჩა ბიძინაშვილმა, მიაკვლია და ქართულ საზოგადოებას წარმოუდგინა, მოსკოვში, რუსეთის ნაციონალურ მუსიკის მუზეუმში დაცული, ჩვენთვის დღემდე მიუწვდომელი ახალი ხელნაწერი სანოტო კრებული აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციის წირვის საგალობლებისა, რომელიც ჩანერილია ანდრია მრეველიშვილის მიერ. ჩვენ მიზნად გვაქვს დასახული, ამ მკვლევართან თანამშრომლობით, ანთოლოგიაში გამოვაქვეყნოთ ქართული გალობის ეს ახლად გამოჩენილი ძვირფასი ნიმუშებიც.

⁵ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული სტიფანე (ვასილ) კარბელაშვილის ხელნაწერები: კარბელაშვილი ვასილ, სანოტო ხელნაწერთა ფონდი. კარბელაშვილის პირადი ფონდი №264.

⁶ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალურ არქივში დაცული პოლიევქტოს და ფილიმონ კარბელაშვილებისა და მათი მოსწავლეების ხელნაწერები: პოლიევქტოს კარბელაშვილის პირადი არქივი, ფონდი №1461. №188—218 საქმეები.

⁷ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში დაცული მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ხელნაწერები: პოლიევქტოს კარბელაშვილის არქივი, №2099, 2110, 2111, 2112, 2113 ხელნაწერები (მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის მიერ ძმები კარბელაშვილებისაგან (ან, შესაძლოა, მხოლოდ პოლიევქტოს კარბელაშვილისაგან) ჩანერილი საგალობლები).



„სინანულის საგალობლების“ („მსწრაფლ განუხვენი“, „ცხოვრებისა გზასა“, „მინყალე მე, ღმერთო“, „მრავალთა ცოდვათა ჩემ მიერ ქმნილთა“) ციკლი (№153—156) — სტ. (ვ.) კარბელაშვილის სანოტო ხელნაწერთა არქივიდან;

„თორმეტ-გზის უფალო, შეგვინყალენ“ (№157) — სტ. (ვ.) კარბელაშვილის სანოტო ხელნაწერთა არქივიდან;

„წმიდა არს უფალი ღმერთი ჩვენი“ (№179) — დ. მოლოდინაშვილის ხელნაწერიდან;⁸

„წმიდა არს უფალი ღმერთი ჩვენი“ (№180) — პ. კარბელაშვილის არქივიდან (ცენტრ. არქ., ფ. 1461, საქმე №203);

„ყოველი სული აქებდით უფალსა“ (№181) — პ. კარბელაშვილის არქივიდან (ცენტრ. არქ., ფ. 1461, საქმე №201);

რვა ხმის „ყოველი სული აქებდით უფალსა“ (№182—189) — პ. კარბელაშვილის არქივიდან (ცენტრ. არქ., ფ. 1461, საქმე №203).

ამ 23 საგალობლიდან, ხელნაწერებში ზოგიერთის ფაქტურა სრულად არაა ნოტირებული და ჩვენ მოგვიხდა დაკლებული ხმების შეწყობა, ზოგან — ალტერაციის ნიშნებისა და ცეზურების ჩამატება. ჩვენ მიერ განუული სამუშაოს შესახებ კონკრეტულ ნიმუშებთან გვაქვს აღნიშნული. საგულისხმოა, რომ ამ 23 ჰიმნიდან, XI ტომის №48—49 ნიმუშების გარდა (რომლებიც ანთოლოგიის IV ტომშია დაბეჭდილი), ყველა ნიმუში პირველად ქვეყნდება.

ამის გარდა, XI ტომში ჩვენ, ასევე, შეტანილი გვაქვს XX—XXI საუკუნეებში მგალობელთა შორის გავრცელებული, ზეპირი ტრადიციით დღემდე მოსული 2 ნიმუში:

„დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო“ (№50);

„ადიდებს სული ჩემი უფალსა“ (№178) (ეს ნიმუში „ცისკრისეული“ „ადიდებს სული ჩემი უფალსა“-ს ფართოდ გავრცელებული, რამდენადმე სახეცვლილი ვარიანტია).

ასევე, ზემოაღნიშნული აუცილებლობიდან გამომდინარე, ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ, „მწუხრსა“ და „ცისკარში“ და ხელნაწერებში მოცემული საგალობლების მუსიკაზე გაგვეწყო შემდეგი საგალობლების პოეტური ტექსტები:

X ტომში:⁹

„დაამტკიცე“ (№103);

„გვაკურთხენ“ (№105);

„უკეთილმსახურესი“ (№106);

„დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო“ (№108);

„გვაკურთხენ“ (№167).

⁸ ლუარსაბ ტოგონიძის პირად არქივში დაცული დავით მოლოდინაშვილის ხელნაწერი კრებული: „ქართული გალობა სამი ხმითა“, დავით მოლოდინაშვილი.

⁹ X ტომის ამ საგალობლებში, მხოლოდ სიტყვიერი ტექსტი გვაქვს შეცვლილი.

XI ტომში:

„სადიდებლები“ (№1, 3—26);¹⁰

ცისკრის რვა ხმის II, III და IV ანტიფონები (№55—60, 65—70, 75—80, 85—90, 95—100, 105—110, 115—120, 125—133);

„ყოველი სული აქედლით უფალსა“ (№190);

„აღდეგ საფლავისაგან და ჯოჯოხეთისა საკრველნი შემუსრენ“ (№194).

* * *

რაც შეეხება საკუთრივ კარბელაშვილთა „მწუხრსა“ და „ცისკარში“ მოცემული საგალობლების X—XI ტომებში გადმოტანისა და რედაქტირების პრინციპებს — როგორც ანთოლოგიის სხვა ტომებში, აქაც ჩვენი სარედაქტორო ჩარევა შემოიფარგლება ალტერაციის ნიშანთა ცვლილებითა¹¹ და ამკარა შეცდომების გასწორებით, რალა თქმა უნდა, ყველგან შესაბამისი მითითებით კომენტარებში.

სქოლიოებში დაბეჭდილია ორიგინალურ გამოცემებში არსებული ავტორისეული აღნიშვნები თუ შენიშვნებიც.

ანთოლოგიის შესავალ წერილში (იხ. ანთოლოგიის I ტომი) მოცემული მითითებები ეხება ყველა და, მათ შორის, X—XI ტომებში დაბეჭდილ საგალობლებსაც. ამავე ტომებში წარმოდგენილ საგალობელთა და მათი წყაროების თავისებურებების შესახებ, იხილეთ ანთოლოგიის შესავალი (იხ. ანთოლოგია „ქართული გალობა“, I ტომი) და II ტომში დაბეჭდილი II—IV ტომების საერთო შესავალი.

აქ კი, გთავაზობთ ზოგად მითითებებს, X—XI ტომებში შეტანილი საგალობლების გამოქვეყნება-რედაქტირების პრინციპების შესახებ და კომენტარებს X ტომში დაბეჭდილი ზოგიერთი საგალობლის თუ ლიტურგიკულ-სამგალობლო უნარის ირგვლივ.

* * *

1) X—XI ტომებში ფრჩხილებში ჩასმული ყველა მუსიკალურ-გრაფიკული სიმბოლო (ნოტები, ალტერაციის ნიშნები, ცეზურების აღმნიშვნელი მძიმეები, ფერმატები...) ჩვენი ჩამატებულია და მათი შესრულება სავალდებულო არაა.

2) „მწუხრის“, მეტ-წილად კი, „ცისკრის“ გამოცემულ პარტიტურებში, ზოგჯერ მუსიკალურ ფრაზებზე დასმული ლიგები სიტყვიერ ფრაზირების ლოგიკას არ ითვალისწინებენ. ასეთ შემთხვევებში, ჩვენც, სიტყვათა მარცვლები სხვა ნიმუშებისა და თავად კონკრეტულ საგალობლებში არსებული ლიგების მიხედვით დავბეჭდეთ X—XI ტომებში.

¹⁰ ამ საგალობელთა პოეტური ტექსტები, თავად სტ. კარბელაშვილს აქვს მოცემული „ცისკარში“, მითითებითურთ, რომ ისინი უნდა გაეწყოს ჯვართამაღლების სადიდებლის (ჩვენთან, XI ტომის №2) მუსიკაზე.

¹¹ რაც „მწუხრისა“ და „ცისკრის“ შემთხვევაში ძალიან იშვიათადაა საჭირო, და ძირითადად ამავე კრებულებში მოცემული ნიმუშებით ვხელმძღვანელობდით.



3) დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ კარბელაშვილების გამოცემულ „მწუხრსა“ და „ცისკარში“ ხშირია შემთხვევა, როდესაც ლიგა აერთიანებს მოტივებს ან მიკრომოტივებს, რომლებზეც ერთი მარცვალ მღერდება და ამ ლიგის ქვეშ არის მოტივურ ნაგებობათა შორის ცეზურების აღმნიშვნელი მძიმეები. ასეთ შემთხვევებში ეს ცეზურები უნდა შევასრულოთ ისე, როგორც, ჩვეულებრივ, ცეზურები სრულდება (ცეზურების შესახებ, იხ. ანთ. I ტომი, ანთოლოგიის შესავალი).

4) „მწუხრსა“ და „ცისკარში“ ბევრია ერთი ხმის, შესაბამისად — ერთი ჰანგისა და თითქმის ბოლომდე იდენტური ფაქტურის მქონე ჰიმნები, განსხვავებული პოეტური ტექსტებით (განსაკუთრებით „ცისკარში“). ზოგიერთ ნიმუშში, რომელშიც ნაკლულად, ან გაუგებრადაა აღნიშნული ალტერაციის ნიშნები, იმავე მუსიკის მქონე ნიმუშების მიხედვით დავარედაქტირეთ და შევასრულეთ კილოური და ინტონაციური კონფიგურაცია.

5) „მწუხრსა“ და „ცისკარში“ ზოგიერთ ხმაში ზოგიერთი ნოტი რიტმულად არასწორადაა ჩანერილი (ფაქტურულ ვერტიკალში კოორდინაცია ირღვევა, ვთქვათ — I—II ხმებში ნახევრიანი გრძლიობის ნაგებობაა, ბანში კი, მხოლოდ მეოთხედი წერია და ა.შ.), ასეთ შემთხვევებში ამ ნოტების გრძლიობები შევცვალეთ, ზოგიერთ შემთხვევაში კი, გამოტოვებული გრძლიობის ადგილზე, მელოდიური მიმართულების ლოგიკით განპირობებული ახალი ბგერა ჩავამატეთ.

6) ზოგიერთი საგალობლის პარტიტურაში, ფინალისზე გამღერებული ბოლო მარცვლის შემდეგ, მიწერილია ან ორწერტილი, ან ძველი ქართული სამგალობლო-ლიტურგიკული ხელნაწერებისათვის ნიშანდობლივი, სამი წერტილისაგან შემდგარი ნიშანი :• უცნობია, ამ ნიშნებს რაიმე დატვირთვა აქვს კარბელაშვილთა ჩანაწერებში, თუ, უბრალოდ, ძველ ხელნაწერებთან მემკვიდრეობითობის წარმოჩენის გამოა აღნიშნული ნოტებში.

7) „ცისკარში“ დაფიქსირებულ 8 ხმის იბაკობსა და კონდაკებს თითოეულ ხმაში იდენტური მელოდია აქვთ. შესაძლოა, ამიტომ, ამ კრებულში, ზოგჯერ კონდაკებზე მითითებულია იბაკო, ან პირიქით, რაც ჩვენ საღვთისმსახურო წიგნთა მიხედვით გავასწორეთ.

8) „მწუხრსა“ და „ცისკარში“ მოცემული მრჩობლი კვერექსების საწყისი ნაწილები (პირველი ორი „უფალო, შეგვიწყალებ“), სასურველია შესრულდეს ნოტირებულთან შედარებით ორჯერ ჩქარა, რეჩიტატიულად (ზოგიერთ შემთხვევაში, II „შეგვიწყალებ“-ში შენელებით, ან იმ რიტმით, რაც ჩანერილია). სხვათა შორის, უმეტესად ასე სრულდება ეს საგალობლები დღევანდელ პრაქტიკაში.

სტეფანე (ვასილ) კარბელაშვილის წინასიტყვაობა

„მწუხრიდან“ (კარბელაშვილი, 1897)¹²

ეს წინამდებარე მცირედი ჩვენი შრომა, ღმერთმან უწყის, რა ტანჯვითა და ვაჲ ვაგლახით მოვიტანეთ ბოლომდის. ვიდრემდის იგი ეღირსებოდა ნათელსა ამა სოფლისასა! ყველა მოუთმენლად ელოდებოდა მის დაბადებასა და ვიეთთა თითქმის სასოებაც-კი ეკვეთებოდათ, გარნა ღმერთმან გვაღირსა და ბოლომდის მოვიტანეთ.

ქართლ-კახური გალობა არის ის წყნარი, აუჩქარებელი, დინჯი, შეუდრეკელი, მდორი, გულ-ჩათხრობილი, გულ-მხურვალეებით აღსავსე გრძობა-ვედრება უზენაესისადმი, რომელიც ჰხატავს ერის მაღალზნეობითს აღსავსე სულიერს სიმდიდრეს, რომელმანც ათას ხუთას ოთხმოც წელიწადში გამოატანინა თავი ქართველობასა და არა დროს არ აგმევინა შჯული ქრისტესი.

ამ სულიერის სიმდიდრისა საარსებოდ დაჰშვრენ მოლუაწენი: პეტრე მაიუმელი, ძმანი წმ. საბაჲ განწმედილის ლავრისაჲ, უღირსი იორდანეჲ, გიორგი, იოანე მტბევეარი, მიქელ, არსენ კათალიკოზი იყალთოელი და სხვანი მრავალნი. რომელთა შრომა და მოღვაწეობა დღემდინ მიმდინარეობს და თვალსაჩინოა ყველასათჳს, ვინც-კი ჩახედებულა ჩუენს დიადოვან სასულიერო ლიტერატურაში.

ქართული გალობა არის შვილი საერო სასულიერო სიმდიდრისა — სიმღერისა, თუმცა გალობაში გამოჰსჭვრეტს უმთავრესი კანონ მდებლობა სასულიერო მუსიკისა, რომელიც სრულებით მოიყვანა არსებაში იოანე დამასკელმან საბა განწმედილის ლავრაში აღზრდილმან.

ამ გალობამ შეიძლება მიიღო წეს-წყობილება ბევრით ადრე იოანე დამასკელის წეს-წყობილებამდინ.

არ იქნება ურიგო, პატარა ხან შევჩერდეთ და ისტორიულად მიმოვიხილოთ მომდინარეობა ამა გალობისა.

საქართველოს მატთანე და სხვანი გამოკვლევანი თითქმის ერთ ნაირად მოგვითხრობენ ქართველთა ერის თავდადებულებას და სიყვარულს თჳსთა ღმერთებ-კერპთამდი. საგულისჴმოა ზეიმი — მირიან მეფისა და ნანა დედოფლისა — მიმოსვლა კერპთა სათაყვანებლად, როგორც მოგვითხრობს წმ. ნინოს ცხოვრება, სადაც აღწერილია მთელი სურათი მათის (ქართველთა) კერპთ-მსახურებისა. ამაზედ ბევრით ადრე ხომ (ქრისტეს მოსლვამდის) სტრაბონი განცვიფრებაშია მოსული ქართველთა ერის მოქალაქებრივის ყოფა-ცხოვრებით! ერთის სიტყვით, ერს ჰქონდა გულითადი სარწმუნოება თჳს კერპთამდი და, სულით და გულით მინდობილი მათგან ითხოვდა მფარველობას. თუმცა დრო წარმართეობისა, კერპთა/მსახურობისა მეფობდა, მაინცა სწამდა შჯული, და ის სარწმუნოება იყო, მის ერის სულის ჩამდგმელი და უიმათოთ

¹² სტილი დაცულია. ამასთან, შინაარსის უკეთ გასაგებად, ტექსტი, ორიგინალთან შედარებით, უფრო მეტ აბზაცად დაყვავით.

ცხოვრებაც — ცხოვრებად არ ჰქონდა მიჩნეული; მიიღტვოდა მათდამი თვის სულიერის ლოცვა გალობით, რომელშიაც ჰხატავდა იმ ლტოლვილებათა და სულის კვეთებათა, რომელთა მეოხებით ჰხატავდა თვსთა აღმაფრთოვან გრძნობათა უზენაესთა ღმერთებთადმი, დარწმუნებული მათს ძლიერება-დიდებაში, და იოხებდა გულსა მათ წინაშე. ეს მორწმუნე ერი, აღზრდილი და განსმჭვალული ზენდავესტის მოძღვრებით, თავდადებული იყო ჯერ თვს ღმერთებ-შჯულისათვს და მერმე მოყუსისათვს.

ქრისტეს მოსლვასა და მის მოსვლის მნიშვნელობასა ხომ მომზადებული იყო ურიათა მიერ, რომელთა მეფობა გაანადგურა ნაბუქოდონოსორმა და გადმოსახლა აქაც. აი ამით აიხსნება ის მხურვალე სარწმუნოება სიდონიასი და პატივისცემა ქართველთა ურიათადმი, რომელთაც ისე სიყუარული და პატივისცემა არ ვინ უჩვენა როგორც ქართველთა. აი ამით აიხსნება ნაყოფიერება ანდრია მოციქულის ქადაგებისა და ის ყურადღება, რომლითაც მიეგება ქართველთა ერი და გულს მოდგინედ ისმენდა მის მოძღვრებასა. ამით აიხსნება რომ ქრისტეს სწავლა უსისხლოდ გავრცელდა ჩუენში, არ უნამებიათ ქადაგი ქრისტეს შჯულისა, რაკი ხალხი ჯერ მომზადებული იყო და მერმე დიდად მორწმუნე უკეთესისა მომავალში და ჰსურდა ღვთის მსახურება.

ნაცვლად იმა ლოცვა-ვედრებისა, რომლითაც აღიღებდა ერი თვსთა კერპთა, დაუნყო დიდება ქრისტეს ჯუარსა, რომელიც აღემართა შეუნიშნავად იმავე ადგილებზედ, სადაც მამაპაპობით იმას ჰქონდა ნანდერძევი ლოცვა ვედრება. მწყემსნი ერთანი [ე.ი. სამღვდელოება] კერპთა სადიდებელის კილოთი [მუსიკით] აღიღებდნენ ჭეშმარიტს ღმერთსა და ერიც მათ ემორჩილებოდა.

მაშასადამე, სათავე ამ გალობისა აქედან მომდინარეობს, რადგან დასამალი აღარ არის რომ ღამის თევანი ქართველთა ერისა, მხიარულება ხატის კარს, მაღალ ადგილებზედ შენობა სახატე ნიშთა საყდართა, ნაცვლად ბომონთა, თითქმის იმ დროდღანვე მომდინარეობს და ამ მხიარულ დიდება ვედრებას და აღრფთოვანებულ გრძნობასა იქიდანვე მოსდევს თვისება და საძირკველიც იქ უნდა ვეძებოთ.¹³ უკეთესს ეძებდა ერი, რომელსაც უღმრთოთ არა დროს არ უცხოვრია, იპოვა იგი ქრისტეს მოძღვრებით და მისის შჯულისათვს დასდვა სული თვისი. აი რისთვს არის სიმრავლე წმ. გიორგის ეკლესიათა მაღალ ადგილებზედ, რომ მის ხატს ყველაზედ ადრე მიეცა ადგილი მის საკერპო სალოცავებში! წმ. ნინომ ხომ ისე განავრცელა მოძღვრება ქრისტესი, რომ ერთი წვეთი სისხლი არ დაქცეულა.

რას უნდა მივანეროთ, რაც ზემოთ მოვიხსენიეთ და ის, რომ ზოგიერთნი ძველი სიმღერა ღიღინები — როგორც: „ღმერთო, ღმერთო მონყალეო“, „არხოტის მთაო, მაღალო“, „ყურშაო“, „ვინცა კაცია“, „ბედზედ დაგნატრი, ბარათო“, „ჩვენებიანო“ და სხვ., რომელთაც ქართლ-კახეთში მღერიან და რომელთაც ისეთი ერთობა აქვთ

¹³ მუსიკის ისტორიიდან ცნობილია, რომ პრაქტიკულად, ყველგან, საეკლესიო მუსიკას საფუძვლად დაედო ქრისტიანობამდელი საკულტო და ხალხური მუსიკის მუსიკალური აზროვნება. (რედ).

ზოგიერთ საგალობელთან, რომ კაცი ვერ გააარჩევს უკანასკნელთაგან? რის საბუთ გახლავთ ეს, ბატონებო, თუ არა იმისი, რომ გალობა არის ღვიძლი შვლი წარმართობის დროდს დიდება-გალობა-სიმღერისა, რომელშიაცა უფრო დავრწმუნდით პროფესორის იაგიჩის სტატიის წაკითხვით შესახებ ამ საგნისა სხვათა ერისაცათა? როცა ღმერთი მოგვასწრებს სიმღერების დაბეჭდვასაც და თვის სიმღიდრე-სავსებით, ეტნოგრაფიულის სისრულით და ამ გალობის შესრულებასაც *[ნოტირება-გამოცემის დამთავრებას]*, მაშინ უფრო ადვილად შეიძლება ამ ჰაზრის დამტკიცება და განვითარება.

ეხლა-კი ამით ვათავებთ, რომ ეს გალობა, ქართული, არის ძე პირმშო იმ სიმღერა დიდებისა *[ე.ი. საერო და საკულტო მუსიკისა]*, რომლითაც ერი სცხოვრობდა ქრისტეს მოსვლის წინეთ რამდენიმე ათასის წლით, რაშიაც დარწმუნდება გულ დადებით მშრომელი ისტორიკოსი და მუსიკოსი, თუ კი ორთავეს შეისწავლის და თვალყურს გაადევნებს.

აი რითაც უნდა მოსწონდეს ქართველ ერს თავი, რომ საკუთარის სულიერის ცხოვრებითა დამოუკიდებლად გამოუტანია თავი რამდენიმე ათასის წლის განმავლობაში. ჩვენ ბერძენთა გავლენა ქართულს გალობაში გვეხამუხება¹⁴ და, ეგონებთ, რომ საბას ლავრაში, სადაც ქართველნი ათასობით მოღვაწეობდნენ და სადაც იოანნე დამასკელმან, მამამ საეკლესიო გალობისამ (?)¹⁵ მიიღო განათლება და სადაც უკვე განვითარებული იყო გალობა, დიდი სამსახური გაუწია საზოგადოდ ქრისტეს ეკლესიასა! დრო ყველას გამოაჩენს და ღმერთმან მოგვასწროს! ამაში ვრწმუნდებით მით, რომ ქართველთ აქვთ მრავალ ჯმოვანი გალობაც და სიმღერაც, რომელსაც ვერსად ვერ ნახავთ, გარდა ურიათა ტომის ხალხის გარეშე. ურიათ დიდი გავლენა მოიღეს ქართველებზედ და შეიძლება, რომ ეს მრავალხმოვანება იმათ-გან გადმოიგანეს თვის სიმღერაში.¹⁶

ეს გალობა ვრცელდებოდა სასულიერო ნოდების პირთ მეოხებით და თითქო „მოდა“-საებ იყო საქართველოში სახელწოდება ხელოვნებითის დარგისა იმ საგვარეულოთი, რომელსაც იგი შერჩებოდა ხოლმე. როგორც აღმოსავლეთს, ეგრეთვე დასავლეთ საქართველოში იყო და არის დღესაც, — ქართლ-კახურ გალობაში დარჩენილი კილო *[მუსიკალური ტრადიცია]*: დიდი გერონტისა, ბიძინა არხიმანდრიტისა, სოფრონ არხიმანდრიტისა, ტარასი არხიმანდრიტისა, მღ. გრიგ. კარბელოვისა, დუმბაძის გალობა, ქალაკანიძის გალობა, ლეჩხუმური კილო *[მუსიკალური ტრადიცია]*, კანდელაკიანთ გალობა და სხვანი.

¹⁴ ალბათ, გვეხამუხება უნდა იყოს.

¹⁵ ფრჩხილებში ჩასმული კითხვის ნიშანი ორიგინალშია.

¹⁶ გაუგებარია, ებრაელთა რა მრავალხმიან ტრადიციას გულისხმობს აქ ავტორი. შესაძლოა, ბიბლიაში არაერთგზის ნახსენები საგუნდო მუზიცირება მას მრავალხმიანობად მიაჩნია. მუსიკის ისტორიაში მიჩნეულია, რომ ებრაული მუსიკა მონოდიური იყო. ამდენად, ავტორის ჰიპოთეზა, ქართული საერო და საეკლესიო მრავალხმიანობის ებრაულიდან წარმოშობის შესახებ, არასწორია.



ეხლა რაკი ძველებურმა მიმართულება-ჩვეულებამ იკლო და ის სურვილი არღა არის, რომ მრავალნი მოიპოვებოდეს გალობის მცოდნენი და ევლტოდნენ მის სავსებით შესწავლასა, საჭიროება მოითხოვდა, რომ ნოტებზედ გადაღებულიყო ეს ქართლ-კახური გალობა „კარბელოვის კილოთი“ *[კარბელაშვილთა ტრადიცია]* და არ დაკარგულიყო საშვილიშვილოდ, რომლისათვისაც არ დავიშურეთ შრომა, — ნამეტნავად იმისთვის უფრო, რომ დღეს მოურიდებლად გაიძახიან ზოგიერთნი ჩუენგანნივე, ვითომც რვა ჳმა დასდებელ-დოღმატებითურთ და ტროპარ-კონდაკები არა გვექონდეს. აი ამიტომ განვზრახეთ დაწყება მწუხრიდან და ღმრთისა მადლითა დანარჩენის დაბეჭდვაც.

იმედია რომ ქართველობა ჯეროვანის ყურადღებით და გულმხვურვალებით მიეგებება ამ საღმრთო საქმეს, რომელიც უნდა იყვეს ქვა-კუთხედ იმ დიადის საგალობო საქმისა, რომელიც, ევროპიულად რომ ვსთქვათ, ჯერ კულტურის გზაზედ არ არის დამდგარი. დიდი სიმდიდრეა საგალობელთა კილოებში *[მელოდიებში, მუსიკაში]* და დიდი შრომაც უნდა, რომელსაც, ღმერთია მონამე, არ ვიშურვებთ!

რააცა შეეხება სახელწოდებას „კარბელოვის გალობა“ — იმიტომ კი არ ეწოდების, რომ იგი შეჰქმნა კარბელოვმა, არა — მარტო იმიტომ, რომ მისითვე მამაპაპეულად დღემდის დარჩა იმის ოჯახში და აქნობამდის მოიტანეს. აი ამიტომ ჰქვიან „კარბელოვის კილოთი“ *[ე.ი. გალობა კარბელაშვილთა ტრადიციით]*.

რააცა შეეხება რომ კარბელაანთ ოჯახში ეს გალობა ჳელ შეუხებლად დარჩენილა, ამას ჰმონმობენ ის ძველნი საგალობელნი, რომელნიც ზემოთ მოვიხსენიეთ, სადაც დღესაც ნათლად დაინახავთ თვალით — სასვენნი და ჳმის ტრიალი თითქმის იქ მოდის, სადაც იმ საგალობლებში *[ანუ, ძველ, შუა საუკუნეების სამგალობლო ხელნაწერებში]* არიან ნაჩვენები. გვინდოდა დასამტკიცებლად ამა სიტყუათა ზოგიერთი გვერდები იმ ზემოხსენებულის საგალობლებიდან *[შუა საუკუნეების სამგალობლო ხელნაწერებიდან]* დაგვებეჭდვინებინა პირდაპირ, მაგრამ, ჩუენს დამოუკიდებელთ მიზეზ-გარემოებათა გამო, ეხლა ვერ ვბეჭდავთ ფოტო-ტიპიითა და შეიძლება მეორე ნაწილში — ცისკარში მიჰყვნენ ის ნიმუშები. აი ეს და სხვა მრავალი ნიშნები გვაძლევენ ყველას საბუთს ამ გალობის სიძველისას და არა იმას, რომ ახალი გამოგონილი იყოს.

როდესაც მთელი გალობა დაიბეჭდება და იმას არ ჩამორჩება საერო სიმღერაც, ეთნოგრაფიულის სავსებით (უნდა მოხსენებული იყოს: ვინც სწერს, სად გადაიღო, ვისგან, რომელს სოფელში, რომელს მაზრაში და ხეობაში, რადგან ერთსა და იმავე სიმღერას ბევრნაირად მღერიან ერთსა და იმავე მაზრაში), მაშინ ცხადად გამოჩნდება სიმართლე და სინამდვლე ზემოწსენებულის ჰაზრისა, რომ საერო სიმღერა დაედო სარჩულად გალობას და მამაა იგი გალობისა.

მლუდ. ვას. კარბელოვი

ჩყუზ წელ.

ლ-სა მაისს

თბილისი. 1897 წელსა 30 მაისსა



შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა იგალობონ თვითეული საგალობელი, ანუ შეასრულონ.

ეს უნდა მოვიხსენოთ: კაეტმა (რელენტმა)¹⁷ უნდა ავარჯიშოს მგალობელნი ნოტების შესწავლაში და მიმდინარეობაში. მიაჩვიოს *[საგალობლების შესრულებისათვის საჭირო]* იმ გრძნობას რომელსაც მოითხოვს „სულ ღმობიერად და საშუალოდ“ (Animato, et Moderato), და როგორც დაიწყებს *[საგალობელს]*, ისევე გაათავოს და მეტი წრეს გადასულობამ არ გამოიჩინოს *[ტემპში, ექსპრესიასა და დინამიკაში]*.

სადაც, ეს უზის , *[მძიმე]*, იქ უნდა შეაჩერებინოს ჳმა ყველას, რომ ერთათ სული მოიბრუნონ; სადაც სამივე ხუთეულს უზის | *[ტაქტის ხაზი]*, იქ სული მოითქვან — მოიბრუნონ, დაისვენონ თუნდ ორი ჳელი *[თვლა]* თუნდ ოთხი, ეგ უფლება არის კაეტისა, ხოროს თავსა.

წინეთ კი კომერტონი იყო დამწყების ჳმა და ყველა*[ს]* თვს კვალში ჩადგომა და იმას შევსცქეროდით, თუმცა მოძახილი შეაყენებდა ხოლმე *[I და III ხმების ზოგიერთ ბგერას]* თავისის მისაქცევ-მოსაქცევის შესასრულებლად; ჳელი *[ანუ, ერთიანი მუზიციერების მარგანიზებელი სადირიჟორო უესტები]* იყო ტურების ცმაცუნნი და საერთო სული, გრძნობა, რომელიც აღაფრთოვანებდა ხოლმე ჳერ ჩვენს *[მგალობლების]* გონებას და მერე ერისასა.

თვითეული მუხლი უნდა დაიწყებოდეს ხოლმე ჩუმად და წყნარად შუაში განძლიერდებოდეს და ბოლოსთან ისევე ჩუმად გათავდებოდეს; სულ ბოლო კი მძიმედ და დინჯად უნდა გათავდებოდეს.

[სანოტო] სისტემას უწოდეთ ხუთეული; სადაც ეს უზის *[ფერმატა]* საგალობელი თავდება. თუ ბოლოში უზის d. c. თავიდან უნდა გაიმეოროთ; სადაც *[[: :]]* ესენი, მაშინ *[მათ შორის]* მოქცეული კილო *[მუსიკალური ფრაგმენტი]* უნდა გაიმეოროთ; სადაც ლეგატოა, მის ქვეშე მოქცეული ნოტები უსვენებლივ უნდა გაიტანონ.

ეს სახე ხუთეულისა *[აქ დაბეჭდილია სანოტო სისტემა, ხაზების ნუმერაციით ქვემოდან ზემოთკენ]* რომელიც შესდგება ხუთის ხაზისაგან, რომელთა რიცხვი იწყება ქვემოდან და იწერებიან მათზედ და შორის მათსა ნიშნები.

[აქ დაბეჭდილია სანოტო სისტემა, მაგალითით, თუ როგორ იწერება ნოტები ხაზებს შორის — მითითებით „შორის“ და ხაზებზე — მითითებით „ზედა“.]

რიცხვი *[ნუმერაცია]* ხაზთა და ხაზთა შორისა (მეჟდუღლინიე) იწყება ქვემოდან. ხუთეული (სისტემა) შესდგება ხუთის ხაზისაგან.

¹⁷ ტერმინი „რელენტი“ რუსული ეკლესიიდანაა დამკვიდრებული ჩვენში. სულხან-საბას „ლექსიკონი ქართულში“ „კაეტი“ განმარტებულია, როგორც „დასის თავი“ (ორბელიანი, 1991:345).



ნიშანი, რომელიც უზის ხუთეულს დასაწყისშივე და რომელიც დაასახელწოდებს თვთეულს ნიშანს, მიხედვით იმ ნიშნისა, რომელიც ზის მისთანავე ერთს ხაზზედ, იწოდების კლიტედ (კლიუჩი).

ეს არის კლიტე სოლ [აქ დაბეჭდილია სანოტო სისტემა ვიოლინოს გასაღებით და მის გვერდზე ნოტით სოლ], ფა [აქ დაბეჭდილია სანოტო სისტემა ბანის გასაღებით და მის გვერდზე ნოტით ფა].

ხმების ტონების აღსანიშვნელად იხმარება სულ შვიდი სახელწოდება: დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი და შემდეგი განმეორებით.

[აქ დაბეჭდილია სანოტო სისტემა ნოტებითა და მათი დასახელებით]

ეს ძეგლი შეადგენს იმას, რასაც ეძახიან (Scala) სკალა. ყველა ნოტები ერთნაირად არ იწერებიან და არც ერთი მნიშვნელობა აქვთ.

აი სისტემა ნოტთა წერისა და მათი მნიშვნელობისა:

[დაბეჭდილია სხვადასხვა გრძლიობის ნოტების მაგალითები, მითითებებით:]

ეს არის მთელი (ტაკტი)

ეს არის ნახევარი (პოლუტაკტი)

ეს არის მეოთხედი (ჩეტვერტი)

ეს არის მერვედი (ოსმაია)

ეს არის მეთექვსმეტედი (1/16)

[დაბეჭდილია სხვადასხვა (მთელიდან სამოცდამეოთხედამდე) გრძლიობის ნოტები სანოტო სისტემაზე]

მთელი, ნახევარი, მეოთხედი, მერვედი, მეთექვსმეტედი, მეოცდათორმეტედი, მე-64-დი.

სავარჯიშებლად — რომ თვალი გაიტეხოს ნოტების კითხვაში. ჯერ უნდა ხაზებზედ დაწერილი ნოტები დაისწავლოს მოსწავლემ და მერმე ხაზთა შორის. უნდა დაიწყებდეს მთელის, მერე ნახევარით, მეოთხედით, მერვედით, ვიდრე მეთექვსმეტედამდის.



დო მი დო დო მი დო სი რე სი ლა დო ლა
სოლ სი სოლ ფა ლა ფა მი სოლ მი რე ფა რე

ეს მცირედნი სავარჯიშოები, ვიცით, რომ სულ ვერ დააკმაყოფილებენ მოსწავლის სურვილს; გარნა თვთ მოსწავლე, რაკი გულს დაუდებს და საკუთარის მუყაითობით მიახნევს რაც მზა-მზარეულად ეძლევა, მაშინ უფრო სასარგებლოა იმისათვის და წასახალისებელიც. ეხლა ბევრი სახელმძღვანელო წიგნებია დაბეჭდილი და იმედია, რომ უფრო იმ ნოტებს მოჰკიდებს ჴელს, რაკი საკმარისი არ არის, ის, ვინც ცოტათი თუ ბევრათ მიხვედრილია ნოტის საქმეს. [აქ ჩვენ მიერ] ნაჩვენებია, როგორ უნდა დაიწყოს ვარჯიშობა; დანარჩენი კაეტმა უნდა შეავსოს, როგორც თვის გამოცდიება უჩვენებს; რაც აქ ნაჩვენებია ტაკტით [მთელი გრძლიობით], პოლუ ტაკტით [ნახევრიანი გრძლიობით], შეიძლება ისევე იმან ჩეთვერტებით [მეოთხედებით] და მერვედებით ავარჯიშოს; ერთის სიტყვით, დიდი იმედი გვაქვს ჩვენ კაეტისა.

შესახებ ინტერვალებისა, დიეზებისა, ბემოლებისა, ატაკაზისა [ბეკარისა], ესენი დაწვლილებით უნდა ჩააგონოს და გაგებით აუხსნას მთელი ძეგლის [ნიმუშის] მონყობილება, კავშირი და უერთიერთა დამოკიდებულება სააღსავლო სასვენთა

(სტუპენი)¹⁸ და იმ სახით სხვებიც დააწყობინოს და ამ სახით სავსებით ჩააგონოს წარმოება მათი.

დამახასიათებელი თვისებანი ქართულის გალობისა ესენი არიან: მესამე [ხმა, ბანი] მისდევს [I ხმას, მთქმელს] ოკტავით და კვინტით, გარნა კვინტა სულ მუდამ სუფთა არის და უნდა იყოს. მეორე [II ხმა, მოძახილი] მისდევს პირველს სეკუნდით, მესამით [ტერციით], მეხუთიდან [I ხმიდან კვინტით ქვემოთ] დაიწყებს თვს აღსლვასა, შეერთდება ან პირველსა [ხმასა] და ხან მესამეს, როდესაც იგი [როდესაც III ხმა, ბანი] მეხუთე მუხლზე დადგება და დაამთავრებს თვს ფარდსა [კვინტით შეენყობა პირველს და დაამთავრებს მუხლს].¹⁹

[გუნდი] უნდა გულ მოდგინებით ადევნებდეს თვალყურსა (,) [მძიმეს], სადაც უნდა სული მოიბრუნონ, (|) [ტაქტის ხაზს] სადაც მუხლი თავდება, (ა) ფერმატოს სადაც თავდება [საგალობელი], ლეგატოს და [ხმების] ურთიერთა დამოკიდებულებათა და [მგალობლები] სულ მუდამ ჰფიქრობდნენ ურთიერთა თანხმობა [და მუსიკალურ-ესთეტიკურ] წეს-წყობილებათაზედ.

სოლოები²⁰ არა გვაქვს შეტანილი [„მწუხრში“] და ურიგო არ იქნება, რომ ყურადღება მიაქციონ ამასაც და ნუ შეიტანენ [საგალობლებში].

უწმო ასოზედაც [თანხმოვანზეც] ჰხდება ჳმის ტრიალი.

დასასრულ არ შემოძლიან არ განვუცხადო გულითადი მადლობა ამ გალობის კომისის თავმჯდომარეს, წევრთ და მინვეულთ, რომელთაც არ დაუშურებიათ თვისი შრომა მუყაითობა. მამა ბლალ. სოლ. შოშიევს, მღუდელთ: პოლ. კარბელოვს, ალექსანდრე მოლოდინოვს,²¹ იოსებ ჩიჯავაძეს და ნადვორნ. სოვ. ნიკოლ. სარაჯიშვლს; ბ. რატილს²² და ვინჩენკოს.²³ კომისია შემდგარია ყოვლად უსამღ. ვლადიმირის ნება დართვთ და კურთხევთ.

¹⁸ გაურკვეველია, რას გულისხმობს აქ ავტორი. შესაძლოა იგი მოდულაციების ან ტონალობათა კვინტური წრის შესახებ საუბრობს.

¹⁹ ქართველ მკვლევართა (ლ. ვეშაპიძე, ზ. წერეთელი) ვარაუდით, „ფარდი“ ძველ ქართულ თეორიაში, აღნიშნავს ტონს, ბგერათა საფეხურებს. ამდენად, სავარაუდოდ, კარბელაშვილისეულ ამ წინადადებაში მექანიკური შეცდომაა (არეულია ტერმინების „მუხლი“ და „ფარდი“ ადგილი) და იგი ასე უნდა იყოს ფორმულირებული: როდესაც III ხმა, ბანი „მეხუთე ფარდზე დადგება და დაამთავრებს თვს მუხლსა“ [კვინტით შეენყობა პირველს და დაამთავრებს მუხლს].

²⁰ გაურკვეველია, რა იგულისხმება სოლოებში — ისეთი ნიმუშები, როდესაც, სხვა ხმების შემსრულებელთა არ ყოფნის გამო, მხოლოდ I ხმის მელოდისა გალობდა ერთი ადამიანი ღვთისმსახურებაზე (როგორც, მაგალითად, ფ. კარბელაშვილის მიერ გამოცემულ „მწუხრში“ (ფ. კარბელაშვილი, 1907) მხოლოდ I ხმის პარტია ნოტირებული; თუ საგალობელში ერთვებოდა რომელიმე ხმის სოლირებული ფრაგმენტები — ფ. ქორიძის მიერ ნოტირებულ რამდენიმე საგალობლებში არსებული მოკლე ერთხმიანი ფრაგმენტების მსგავსი (იხ. ანთოლოგიის I ტომი), ან დ. ჩიჯავაძე-მიხაილოვის მიერ ნოტირებული ნიმუშის მსგავსი (იხ. ანთოლოგიის IV ტომი), სადაც ორ კვერექს შორის მოკლე გადასაბმელი სოლო ნაგებობაა I ხმაში.

²¹ გამორჩეული მგალობელი, ძმები კარბელაშვილების თანამგალობელი, გრიგოლ კარბელაშვილის მოსწავლე.

²² ცნობილი ჩეხი საოპერო მომღერალი, ქორმეისტერი, დირიჟორი, რომელიც XIX—XX საუკუნეთა გასაყარზე მოღვაწეობდა საქართველოში და დიდი ამაგი დასდო ქართულ მუსიკალურ კულტურას. იყო ვლ. აღნიაშვილის ორგანიზებით ჩამოყალიბებული პირველი ქართული ეთნოგრაფიული გუნდის

სტეფანე (ვასილ) კარბელაშვილის

წინასიტყვაობა

„ცისკრიდან“ (კარბელაშვილი, 1898)²⁴

ღმერთმან გვალირსა ამ მეორე ნაწილის²⁵ გათავებისას *[დასრულებას, გამოცემას]*, თუმცა ამითიც ვერ აღმოვივსო სისრულე ქართულის გალობისა. იმედია ჯერ ლუთით და მერმე კეთილთა პირთა თანადახმარებით განვაგრძოთ შემდეგშიაც: მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ნაწილიც.

როგორათაც I ნაწილისა ეგრეთვე მეორესას *[შესახებ]* ამას დავძენ, რომ როგორათაც პირუელი ნაბიჯი, ახალი — ბევრს ცდას ითხოვს და მოითხოვს კიდევც.

ოხითა და კონდაკ-იბაკოთა კრებული მთელის წლის საკუთრივ მოჰყვება *[შემდეგ ნაწილებს]*, აქ *[„ცისკარში“]* კი შევიტანეთ სადაც სახმარებელნი და საზოგადოდ სახმარებელნი საგალობელნი.

პირველს ნაწილში მე-97 გვერდ. დავით აღმაშენებელის ოხითა, შეცთომით არის ნაჩვენები, ვინაფთგან ბევრი ჭირი ვნახეთ, ვერ ავსცილდით ზოგიერთ უნებლიეთა მოცთუნებათა და იმედია რომ ჩუენს ნაკლს — საქმის კეთილდღეობის მოსურნეთ ყურადღება შეავსებს.

საგალობლის სტრიქონი თავდება და სადაც იმისივე ბოლო მარცალი უზის, იქ გადადის ის სტრიქონი.

აქვე აქვს ჩართული ნიმუშები ქართული გალობის ნიშანთ წერილობისა (ნოტებისა) მე-IX, X და XI—XII საუკუნის ნაშთებისა და ნაჩვენებია მათი ხასიათი.

თბილისის სას.სემინ. ქართული გალობის მასწავლებელი მღუდელი მიხაილოვის ქსენონის ეკლესიის.

ვასილი გრიგოლის ძე კარბელაშვილი

(„ქართული ხოროს“) მუსიკალური ხელმძღვანელი, ლოტბარი; ქართული ტრადიციული მუსიკის პოპულარიზატორი საქართველოსა და ევროპაში.

²³ უკრაინული გვარის მქონე ამ პიროვნების ვინაობა და მისი კავშირი XIX საუკუნის ბოლოს ქართულ მუსიკალურ კულტურასთან, დღეისათვის დასადგენია, თუმცა, ცხადია მისი ღვაწლი საგალობელთა გამოცემის ნებართვის მოპოვების პროცესში.

²⁴ სტილი დაცულია. ამასთან, შინაარსის უკეთ გასაგებად, ტექსტი, ორიგინალთან შედარებით, უფრო მეტ აბზაცად დავყავით.

²⁵ II ნაწილში ავტორი „ცისკარს“ (კარბელაშვილი, 1898), გულისხმობს, I-ში — „მწუხრს“ (კარბელაშვილი, 1897).

წინასიტყვაობის წილ²⁶

აუცილებლობა ქართული საეკლესიო გალობის ნოტებზე გადმოღებისა, რათა ყოველი ადამიანის მემკვიდრეობა გახდეს იგი, იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ გალობის მცოდნეთა მკვეთრი შემცირების შედეგად იგი დაკნინდა და მღვდელ გრიგოლ კარბელაშვილის გვარში დარჩა, რის გამოც ხალხმა იგი ქართლ-კახურ გალობად, „კარბელაანთ გალობად“ მონათლა, რასაც არცთუ იშვიათად ლიტერატურაშიც ვხვდებით. ჩვენც „კარბელაანთ“-ით დავასათაურეთ ეს კრებული, რომ შემოგვენახა წყარო და მიგვეთითებინა ადგილი და ვინაობა მათი, ვინც ჩანერა ეს ნოტირებული გალობა.

სასწავლებლებში, სემინარიაში 6 წლის განმავლობაში მხოლოდ ჟამისწირვისა და სხვა საგალობლებს შეისწავლიდნენ და ისიც რის ვაი-ვაგლახით. ჩემმა სამწლიანმა პრაქტიკამ დამარწმუნა, რომ აუცილებელი იყო ჩემ მიერ ნოტირებული საეკლესიო საგალობლების ლითოგრაფირება და მოსწავლეთათვის ასე მიწოდება, თუმცა, ამასთანავე, სლავური საეკლესიო გალობის საერთო პროგრამის თანახმად, მანამდე ვცდილობდი ხელნაწერი ნოტების გამოყენებასაც.²⁷

1896 წლის 21 მაისს თბილისის სასულიერო სემინარიაში მე წარვადგინე რაპორტი №67, რომელშიც მოხსენებული იყო ხელნაწერი ნოტებით სწავლებისას გამოწვეული უხერხულობისა და მათი ლითოგრაფირების აუცილებლობის თაობაზე, რისთვისაც ვითხოვდი მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის, საქართველოს ეგზარქოსის კურთხევას.

აი, ასლიც თავად თბილისის სასულიერო სემინარიის საჟურნალო დადგენილებისა, რომელიც დათარიღებულია 1896 წლის (31 მაისიდან) 1 ივნისით და დამტკიცებულია მისი მაღალყოვლადუსამღვდელოების მიერ 1896 წლის 10 ივნისს:

„შედგეს კომისია მღვდლების: პოლიევქტოს კარბელაშვილის, ალექსანდრე მოლოდინაშვილის, იოსებ ჩიჯავაძის, ნადვორნი სოვეტნიკის²⁸ ნიკოლოზ სარაჯიშვილის მონაწილეობით, მღვდლის — სოლომონ შოშიაშვილის თავმჯდომარეობით, იმ სანოტო ნაწარმოებების წინასწარ განსახილველად, რომელთა ლითოგრაფირებასაც ითხოვს მამა კარბელაშვილი, იმისთვის რათა ლითოგრაფირებაზე პასუხისმგებლობა დაეკისროს ხსენებულ კომისიას და

²⁶ ეს ტექსტი რუსულადაა მოცემული „ცისკარში“, ზემოთ მოყვანილი ქართული წინასიტყვაობის შემდეგ. ქართულად თარგმნა ნინო ფირცხალავამ, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვწირავთ.

²⁷ როგორც ჩანს, ავტორი გულისხმობს, რომ ნოტების დაბეჭდამდე, ქართული გალობის სწავლა ხელნაწერი ნოტებით მეტად რთული იყო და არა იმას, რომ სლავური გალობის პროგრამა ავალდებულებდა მხოლოდ ხელნაწერი ნოტების გამოყენებას.

²⁸ ნადვორნი სოვეტნიკი — წოდება, მე-7 კლასის მოხელე მეფის რუსეთში.

წარმოებდეს მხოლოდ მისი მოწონებითა და ნებართვით, რაზეც დიდის მოწინებით ვითხოვთ მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის თანხმობას“.

ამის შემდგომ მე წარვადგინე რაპორტი *[მოხსენებითი ბარათი]* პროგრამითურთ და „კარბელაანთ გალობის“ ქართული, ქართლ-კახური საგალობლების I თავი, რომელსაც სხდომებზე განიხილავდნენ 6-დან 20 დეკემბრამდე, რა დროშიც დაამთავრეს კიდევ და აი, ოქმების ასლებიც:

„მღვდ. მ[ამა] ვას. კარბელაშვილის მიერ ნოტებზე გადმოღებული საეკლესიო ქართული საგალობლების შემფასებელი კომისიის 1896 წლის 20 დეკემბრის ოქმი:

კომისიამ წევრთა სრული წარმომადგენლობით, თბილისის სასულიერო სემინარიის გამგეობის პედაგოგთა საკრებულოს წევრის, კეთილმოწესე მღვდლის, სოლომონ შოშიაშვილის თავმჯდომარებით მოისმინა მღვდლის, ვასილ კარბელაშვილის რაპორტი, რომელიც მის მიერ წარმოდგენილი იყო ხსენებული კომისიის მიერ განსახილველი ნოტების პროგრამითა და თავად საეკლესიო ქართული საგალობლების ნოტირებული ნაწარმოებებით, კერძოდ: მწუხრის ღვთისმსახურება სტიქარონებითა და დოგმატიკონებით 1-დან მე-8 ხმის ჩათვლით. პროგრამისა და ნოტების გაცნობის შემდგომ, კომისია, მღვდლ. კარბელაშვილის მიერ, კომისიის სურვილის თანახმადვე მოწვეული ორი ახალი წარმომადგენლის — ი. ი. რატილისა და ალ. თ. ვინჩენკოს — მონაწილეობით, შეუდგა მღვდ. ვ. კარბელაშვილის მიერ ნოტებზე გადატანილი ქართული საეკლესიო საგალობლების შემოწმებას. საგალობლები შესრულებულ იქნა ფორტეპიანოზე და შემდეგ — გამღერებული ბატონების — რატილისა და ვინჩენკოს მიერ. ფრიად უმნიშვნელო და არაარსებითი შესწორებების შემდგომ კომისიამ მიიჩნია, რომ მ. ვასილ კარბელაშვილის მიერ საეკლესიო ქართული საგალობლები გადმოღებულია ერთობ კარგად; სიზუსტით არის შენარჩუნებული საეკლესიო ქართულ საგალობელთა სული და ხასიათი; გადმოცემის სისწორე და მოტივების *[ჰანგების]* მთლიანობა უკეთესის სურვილის უფლებას არ ტოვებს. თავის მხრივ ბატონებმა — რატილმა და ვინჩენკომაც დაამონმეს, რომ მათ მიერ განხილული მღვდ. კარბელაშვილის შრომა ერთობ კომპეტენტური და საფუძვლიანია საეკლესიო მუსიკის საქმეში; მუსიკალური ტექნიკისა და მოტივების ნოტებზე გადმოღების სისწორის მხრივ ის ერთობ კარგია.

ყველა ზემოთ გამოთქმული მოსაზრების გათვალისწინებით კომისიამ მსჯელობის შემდგომ არსებულ საქმეზე დაადგინა:

მოწონებულ იქნას მ. ვასილ კარბელაშვილის მიერ ნოტებზე გადმოღებული საეკლესიო ქართული საგალობლები, სახელდობრ, მწუხრის ღვთისმსახურება 1, 2, და 3... ხმათა, სტიქარონებითა და დოგმატიკონებით და მიეცეს მას კომისიის წევრების ხელმოწერებით დამოწმებული ამ ნოტების ლითოგრაფირების ნება.

კომისიის თავმჯდომარე — კეთილმოწესე მღვდელი სოლომონ შოშიაშვილი.



კომისიის წევრები:

მღვდელი პოლიევქტოს კარბელაშვილი,
მღვდელი ალექსანდრე მოლოდინაშვილი,
პრიდვორნი სოვეტნიკი ნიკოლოზ სარაჯიშვილი.

წვერი-საქმის მწარმოებელი მღვდელი იოსებ ჩიჯავაძე.

1896 წ. 20 დეკემბერი. ქ. ტფილისი.

ზემოაღნიშნული შრომა — საეკლესიო ქართული გალობის, ქართლ-კახური, „კარბელაანთ გალობის“ „მწუხრი“ — დაიბეჭდა.

სემინარიის მმართველობამ კომისიისაგან მოითხოვა ეპასუხა, რამდენად გამოდგებოდა ზემოხსენებული ნაშრომი საეგზარქოსოს სასწავლებლებში დამხმარე სახელმძღვანელოდ, რაზეც კომისიამ დადებითი პასუხი გასცა. თუ როგორი პასუხი იქნა მოსმენილი სემინარიის მმართველობის მიერ მისი რექტორის, არქიმანდრიტ გერმოგენის თავმჯდომარეობით 1898 წლის 17 აგვისტოს, იუწყება მეხუთე მუხლი:

„მოვისმინეთ კომისიის დამოკიდებულება მღვდ. ვას. კარბელაშვილის ნოტირებული ნაწარმოებების განხილვასთან დაკავშირებით 1898 წლის 11 ივნისს, №206 უწყებით: „შედგენილია მღვდ. ვას. კარბელაშვილის მიერ და შემოწმებულია კომისიის წევრების მიერ მუსიკისა და სიმღერის მცოდნე სპეციალისტების — ბ-ნ. რატილისა და ვინჩენკოს თანდასწრებით. „მწუხრი“ მოიცავს მ. ვას. კარბელაშვილის მიერ ნოტებზე სწორად და ზუსტად გადმოღებულ საეკლესიო ქართულ საგალობლებს, რომლებიც გამოიყენება მწუხრის ღვთისმსახურებაზე, და ამიტომაც ეს კრებული შეიძლება იქცეს ქართული გალობის ერთადერთ და მეტად სასარგებლო დამხმარე სახელმძღვანელოდ საქართველოს ეპარქიის სასულიერო სასწავლებლებებისა და, ასევე, სემინარიის მოსწავლეთათვის“, რაზეც სემინარიის მმართველობამ დაადგინა:

„მ. კარბელაშვილის ნოტირებული თხზულებების განხილვასთან დაკავშირებით, კომისიის გამომხაურების თანახმად, მღვდ. ვას. კარბელაშვილის მიერ შედგენილი „მწუხრი“ აღიარებულ იქნას დამხმარე სახელმძღვანელოდ საეკლესიო ქართული გალობის საგანში საეგზარქოსოს სემინარიისა და სასულიერო სასწავლებლებში, რის შესახებაც ეცნობოს თბილისის, თელავისა და გორის სასწავლებელთა მმართველობებს“.

ყოველივე ეს ეხება პირველ ნაწილს, ხოლო რაც შეეხება ამ მეორე ნაწილს, აუცილებლად მიგვაჩნია, მას დაერთოს კომისიის ოქმის ასლი:

„1897 წლის 1, 8, 9, 10 და 12 დეკემბრის სხდომის ოქმი. მღვდლის, ვას. კარბელაშვილის მიერ ნოტებზე გადმოღებული საეკლესიო ქართული საგალობლების შემმოწმებელი კომისიის სრულმა წარმომადგენლობამ თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობის პედაგოგთა საკრებულოს წევრის — კეთილმოწესე

მღვდლის, სოლომონ შოშიაშვილის თავმჯდომარეობით მოისმინა მღვდ. ვასილ კარბელაშვილის რაპორტი 1897 წლის 29 ნოემბერს, №136, რომელთან ერთადაც წარმოდგენილ იყო ქართლ-კახური საეკლესიო გალობის მეორე ნაწილი („ცისკარი“); კომისიის სურვილის თანახმად, მ. ვასილ კარბელაშვილის მიერ მონვეული მუსიკისა და სიმღერის მცოდნე ორი წევრის, ბატონების — ი. რატილისა და ალ[ექსანდრე] თეოდ[ორეს] ძე ვინჩენკოს თანდასწრებით კომისია მივიდა დასკვნამდე:

„მონონებულ იქნას ლითოგრაფირებისათვის მღვდ. ვასილ კარბელაშვილის ნაშრომი „ცისკარი“, რადგან მოტივები [ჰანგები, მუსიკა] გადმოცემულია სწორად და ზუსტად.“

კომისიის თავმჯდომარე — კეთილმოწესე მღვდელი სოლომონ შოშიაშვილი წევრები:

მღვდელი პოლიევქტოს კარბელაშვილი
მღვდელი ალექსანდრე მოლოდინაშვილი
კარის მრჩეველი ნ. სარაჯიშვილი
საქმის მწარმოებელი — მღვდელი იოსებ ჩიჯავაძე.

ამასთან, არ შემიძლია მკითხველებს არ გავაცნო ერთობ თავაზიანი წერილი მოსკოვის სინოდალური გუნდის დირექტორის — ბ-ნ სმოლენსკისა, რომელმაც თავისი ავტორიტეტული სიტყვით გამამხნევა, გამეგრძელებინა ჩემი შრომა ამ მიმართულებით:

„ღრმადპატივცემულო მამაო, ვასილ გრიგოლის ძევ, უდიდესი, გულითადი სიხარულით ვიხილე თქვენ მიერ ჩემთვის ეგზომ თავაზიანობით გამოგზავნილი თქვენი გალობის I ნაწილი. თქვენ იცით, თუ რაოდენ ახლოს მიმაქვს გულთან ყოველი ახალი წინგადადგმული ნაბიჯი, როგორი სიხარულით მივესალმები თითოეულ შესაძლის ახალ შრომას, განსაკუთრებით კი, ისეთ სრულიად ორიგინალურს, თქვენი რომ არის. ამიტომაც თქვენთვის გასაგები იქნება ის ინტერესი და გაოცება, რომლითაც მე ვეცნობი ქართულ ჰარმონიებს, ვცდილობ ჩავწვდე დასავლეთ-ევროპულთან მისი წინააღმდეგობრიობის საიდუმლოებებს და მის ჭეშმარიტად განსაცვიფრებელ და მდიდარ ხმათასვლებსა და რიტმებს. სიტყვები არ მყოფნის, რათა გამოვთქვა, თუ როგორ მოუთმენლად ველი ქართული გალობის მე-2 მე-3, მე-4 და მომდევნო ნაწილებს. იყავით ჯანმრთელად და იშრომეთ. მე ჩემი მეგობრებიც წავიყოლიე საქართველოში, თუნდაც ჩემს წარმოდგენაში და მხოლოდ წიგნის მიხედვით.“

თქვენი უგულითადესად მაღლიერი და ერთგული
სტეფანე სმოლენსკი
მოსკოვი. 25 სექტემბერი. 1897 წ.



ღიას, ჭემმარიტად, მეცნიერ, საქმიან ადამიანებს ძალუძთ ამგვარად გამხსნევა და წმინდა ზნეობრივ-სულიერი დახმარების განევა, რასაც ნაკლებად გასცემენ საქმის არმცოდნენი.

ჩვენი მოკრძალებული შრომით არ გვიფიქრია, რომ ამოვწურავდით საცისკრო საეკლესიო ქართული საგალობლების ჰანგების მრავალფეროვნების მთელ სისავსეს, რისი მიღწევაც რთულია ერთბაშად და იმ პირობებში, რომელშიც გვიწევს შრომა.

ღმერთი გვაკურთხებს, ვიმედოვნებთ, კვლავაც ამ სულისკვეთებით გავაგრძელოთ მუშაობა.

ტფილისის სასულიერო სემინარიის საეკლესიო ქართული გალობის მასწავლებელი,
მიქაელ [მთავარანგელოზის] საავადმყოფოს ტაძრის მღვდელი
ვასილ კარბელაშვილი.

გამოყენებული ლიტერატურა და სანოტო კრებულები

1. კარბელაშვილი, ვასილ (სტეფანე) (1897). *ქართლ-კახური გალობა „კარბელაანთ კილოთი“, „მწუხრი“, ნოტებზე გადაღებული მღვდელი ვასილ კარბელაშვილის მიერ. პირველი ნაწილი.* ტფილისი: სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
2. კარბელაშვილი, ვასილ (სტეფანე) (1898). *ქართლ-კახური გალობა, „კარბელაანთ კილოთი“, „ცისკარი“, ნოტებზე გადაღებული მღვდელ ვასილ კარბელაშვილის მიერ. მეორე ნაწილი.* ტფილისი: სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
3. კარბელაშვილი, ფილიმონ (1899). *საგალობელნი შობის დღესასწაულისა: რვეული ა, გადაღებული მღ. ფილიმონ კარბელაშვილის მიერ. გამოცემა მღ. პ. კარბელოვისა და ა. მოლოდინოვისა.* თბილისი: სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
4. კარბელაშვილი, ფილიმონ (1907). *ერთხმიანი ქართული საეკლესიო გალობა: „მწუხრი“, ნოტებზე გადაკეთებული მღვდელ ფილიმონ კარბელაშვილის მიერ. რედაქცია მღ. პოლიევქტოს კარბელაშვილისა.* თფილისი: სტამბა „ძმობისა“.
